რომელია დანარჩენებისგან განსხვავებული ფიგურა?



ა) I ბ) II გ) III დ) IV

ველოსიპედისტმა 2 საათში 12 კმ გაიარა. თუ იგი ასეთივე სიჩქარით ივლის, რა მანძილს გაივლის 5 საათში?

ა) 24 კმ-ს ბ) 19 კმ-ს გ) 30 კმ-ს დ) 60 კმ-ს

---

60 კაკალი თანაბრად უნდა გაინაწილოს შვიდმა ბავშვმა. რამდენი კაკალი შეხვდება თითოეულ მათგანს?

ა) 4 ბ) 7 გ) 8 დ) 9

გამოიანგარიშე და შემოხაზე სწორი პასუხი:

$$\begin{array}{r} 567 \\ \times \quad 8 \\ \hline \end{array}$$

ა) 4534 ბ) 4536 გ) 4436 დ) 4434

რომელი გამოსახულებით შეიძლება ***x***-ის პოვნა, თუ :

X – 491 = 1630

ა) 1630 – 491 გ) 1630 + 491

ბ) 1630 : 491 დ) 1630 · 491

LIVEWORKSHEETS

ოთხკუთხედის საზღვარზე მონიშნულია წერტილები.



შემდეგთაგან რომელი ორი წერტილი უნდა შევაერთოთ მონაკვეთით, რომ მივიღოთ **ორი ახალი** ოთხკუთხედი ?

ა) P და B

ბ) B და K

გ) A და P

დ) A და M

შეადარე ფიგურები ერთმანეთს:



შემოხაზე ჭეშმარიტი შემდეგთაგან:

ა) ყველა ფიგურა პრიზმაა;

ბ) ზოგიერთი ფიგურა პრიზმაა;

გ) ყველა ფიგურა კონუსია;

დ) არცერთი ფიგურა არაა პრიზმა.

რიცხვებს: 18, 2 და 25 შეუსაბამე 3-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი და გამოსახე სქემის საშუალებით:



LIVEWORKSHEETS

სურათზე წარმოდგენილია მართკუთხა პარალელეპიპედი:



მოსაზღვრე წახნაგების რამდენი წყვილი აქვს მას?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

თუ ABCD ოთხკუთხედის A წერტილს შეაერთებ C წერტილთან, B წერტილს კი – D წერტილთან, სულ რამდენ სამკუთხედს მიიღებ?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

კონსულტანტს ტექნიკის მაღაზიაში ყოველ მესამე გაყიდულ ნივთზე სახელფასო ანგარიშზე ერიცხება 5 ლარი. სწორად არის თუ არა ეს შესაბამისობა გამოსახული ცხრილით? პასუხი დაასაბუთე.

გაყიდული ნივთების რაოდენობა	ხელფასზე დარიცხული თანხა
1	0
3	5
5	5
7	15

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:

LIVEWORKSHEETS

ცნობილია, რომ კლასში 27 მოსწავლეა.მასწავლებელი სვამს რამდენიმე შეკითხვას და ცხრილში ინიშნავს იმ მოსწავლეთა რაოდენობას, რომლებმაც სწორად გასცა პასუხი თითეულ მათგანს.

შეკითხვის N	მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც სწორად გასცა პასუხი	მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც არასწორად გასცა პასუხი
1	X	
2	12	15
3	16	11

ცხრილის ცარიელ უჯრაში ჩაწერე იმ მოსწავლეთა რაოდენობის გამოსათვლელი გამოსახულება X-ის საშუალებით რომლებმაც არასწორად გასცეს პასუხი დასმულ შეკითხვებს.

კატომ მაღაზიაში იყიდა კაბა, ქუდი და ჩანთა. სალაროს აპარატმა გადახდის ქვითარზე ზოგი ციფრი გაურკვევლად ამობეჭდა. რამდენი ლარი გადაიხადა კატომ კაბაში და რამდენი ჩანთაში? პასუხი დაასაბუთე.

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:

LIVEWORKSHEETS